ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა N:41

ქ. მცხეთა

11 მაისი, 2018 წელი

ერთის მხრივ, **შპს „მცხეთის სოფწყალი“**, შემდგომში „შემსყიდველი“ წარმოდგენილი მისი დირექტორის ალექსანდრე ნებიერიძის სახით და მეორეს მხრივ, **შპს „ელ.ერ ჯგუფი“** შემდგომში „მიმწოდებელი“ წარმოდგენილი მისი დირექტორის რამაზ ბიჩნიგაურის სახით ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე;

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ქვიშა და თიხა (CPV14200000).

2. მომსახურების მიწოდების ვადა და ღირებულება

2.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერისთანავე და ძალაშია 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

2.2 ხელშეკრულების საერთო ღირებულებაა 300 (სამასი) ლარი.

3. ანგარიშსწორება

3.1 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით.

3.2 ანგარიშწორება მოხდეს მიღება-ჩაბარების აქტიდან არაუმეტეს 10 დღეში.

4. მხარეთა უფლება–მოვალეობები

4.1 „მიმწოდებელი” კისრულობს ვალდებულებას:

4.2 მომსახურება მოხდეს ხელშეკრულებით ნაკისრ ვადებში.

4.3 „შემსყიდველი“ კისრულობს ვალდებულებას:

4.4 უზრუნველყოს თანხის ჩარიცხვა ხელშეკრულებით ნაკისრ ვადებში.

5. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისას

5.1 თუ „მომწოდებელი“ არ ასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს, „შემსყიდველი“ წერილობითი ფორმით აფრთხილებს დაიცვას ხელშეკრულების პირობები.

5.2 ვალდებულების კვლავ შეუსრულებლობის შემთხვევაში „შემსყიდველს“ უფლება აქვს განიხილოს ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის საკითხი.

5.3 შესყიდვის არაჯეროვნად ან არშესრულების და ვადაგადაცილების შემთხვევაში „შემსყიდველი“ უფლებამოსილია „მომწოდებელს“ არ აუნაზღაუროს საქონლის ღირებულება და დააკისროს პირგასამტეხლო მისაწოდებელი საქონლის ღირებულების 0,02%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

6. ხელშეკრულების ძალაში შესვლა

6.1 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან.

7. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

7.1 ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ფასები და უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8. ფორს–მაჟორი

8.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთ ვალდებულებათა სრულად ან ნაწილობრივ შესრულებაზე, თუ ეს შესრულება გამოწვეულია ისეთი გარემოებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალოდ ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე.

9. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

9.1 წამოჭრილი დავები ან აზრთა სხადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნეს ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

9.2 თუ „მიმწოდებელი" და „შემსყიდველი" მოლაპარაკების დაწყებიდან 10 დღის განმავლობაში ვერ შესძლებენ მოლაპარაკების საფუძველზე გადაწყვიტონ დავა, მაშინ ნებისმიერ მხარეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10. სხვა პირობები

10.1 ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი საკითხები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

10.2 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის თანხმობის გარეშე.

10.3 ხელშეკრულება დგება ქართულ ენაზე. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

11 ხელშეკრულების პირობების კონტროლი

11.1 ხელშეკრულების პირობების კონტროლს და მიღება-ჩაბარებაზე ხელის მოწერას განახორციელებს შპს „მცხეთის სოფწყალის" საავარიო სამსახურის უფროსი შალვა მაღრაძე.

12 ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადა 2019 წლის 1 მარტის ჩათვლით.

13. მხარეთა რეკვიზიტები

შპს „ელ.ერ ჯგუფი"	შპს „მცხეთის სოფლწყალი"
ს/კ 436032614	*ს/კ:* 436034104
ა/ნ: GE10PC0443600100004531	*ა/ნ:* GE78LB0113162465564000
ბანკი: „პროკრედიტ ბანკი"	*ბანკი: სს* „ლიბერთი ბანკი"
ბანკის კოდი: MIBGGE22	*ბანკის კოდი:* LBRTGE22
მის: ქ. მცხეთა სოფ. საგურამო	*მის: ქ.*მცხეთა, აღმაშენებლის N73
ტელ: 599 28 18 11	*ტელ:* 2 51 35 88
დირექტორი:	დირექტორი:
რამაზ ბიჩნიგაური	ალექსანდრე ნებიერიძე

მიღება–ჩაბარების

აქტი

11 მაისი, 2018 წელი

მიმწოდებელი	შემსყიდველი
შპს „ელ.ერ ჯგუფი“	შპს „მცხეთის სოფწყალი“

საფუძველი: 11 მაისი, 2018წ. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება N:41

ჩვენ, ერთის მხრივ, შპს „მცხეთის სოფწყალი“-ს საავარიო სამსახურის უფროსი შალვა მაღრაძე, ხოლო მეორეს მხრივ შპს „ელ.ერ ჯგუფი“-ს დირექტორი რამაზ ბიჩნიგაური ვადგენთ მიღება-ჩაბარების აქტს მასზედ, რომ ერთის მხრივ, შპს „მცხეთის სოფწყალი“-ს საავარიო სამსახურის უფროსი შალვა მაღრაძე მიიღო, ხოლო მეორეს მხრივ შპს „ელ.ერ ჯგუფი“-ს დირექტორმა რამაზ ბიჩნიგაურმა ჩააბარა 2018 წლის 11 მაისს შპს "მცხეთის სოფწყალსა" და შპს „ელ.ერ ჯგუფს“ შორის გაფორმებული N:41 ხელშეკრულების საფუძველზე:

მიწოდებული საქონლის/მომსახურების სახე	სულსაქონლის/მომსახურება
ქვიშა და თიხა	300 (სამასი) ლარი.
სულ:	300 (სამასი) ლარი.

შპს „მცხეთის სოფწყალი“-ს საავარიო სამსახურის უფროსი

შალვა მაღრაძე_____

შპს „ელ.ერ ჯგუფი“-ს დირექტორი რამაზ ბიჩნიგაური_____